DOI: 10.52340/PUTK.2022.26.07

პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში

ISSUES OF PATRIOTIC AND INTERNATIONAL EDUCATION IN GIORGI TAVZISHVILI'S PEDAGOGICAL THOUGHT

თინათინ კაპანაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Tinatin Kapanadze
Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

During the study of the scholarly legacy of Giorgi Tavzishvili (1902–1963), the famous representative of Georgian pedagogical thought, special attention should be paid to his works, which essentially determine his contribution to the history of Georgian pedagogical science after a long time since they have been written. From this perspective, particularly important are those works of the researcher in which he thoroughly examined the history of Georgian education, on the one hand, and the pedagogical views of Georgian public figures, on the other. As for G. Tavzishvili's works, which he devoted to the analysis of the principles of upbringing and teaching, they are less valuable today due to the ideological spirit of that time. The very circumstance was essentially determined by the political situation at the time. However, many acceptable opinions regarding patriotism and internationalism are expressed in the above-mentioned works. From this point of view, special attention should be paid to the fact that G. Tavzishvili assumed a role of an active defender of the national and linguistic interests of the non-Russian nations that were part of the Soviet Union during the period of total Russification policy pursued by the Soviet government.

საკვანძო სიტყვები: ქართული პედაგოგიკა, გიორგი თავზიშვილი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი.
Keywords: Georgian Pedagogics, Patriotism, Internationalism, Giorgi Tavzishvili.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ცნობილი წარმომადგენლის – გიორგი თავზიშვილის (1902-1963) მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მის იმ ნაშრომებს უნდა მივაქციოთ, რომლებიც მათი დაწერიდან საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგ მნიშვნელოვან დონეზე განსაზღვრავს მის წვლილს ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ისტორიაში. ამ თვალსაზრისით მკვლევრის ის ნაშრომები გვაქვს მხედველობაში, რომელთა მეშვეობითაც მან საფუძვლიანად შეისწავლა, ერთი მხრივ, ქართული განათლების ისტორია, მეორე მხრივ კი, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებანი. რაც შეეხება გ. თავზიშვილის იმ ნაშრომებს, რომლებიც მან აღზრდისა და სწავლების პრინციპების განსაზღვრასა და ამ მიმართულებით არსებული პრობლემების ანალიზს მიუძღვნა, მკაფიოდ გამოხატული იმდროინდელი იდეოლოგიური სულისკვეთების გამო ისინი დღეს ნაკლებად ფასეულია. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმდროინდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ. საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმეტესობის მსგავსად, გ. თავზიშვილის მეცნიერული კვლევის უმთავრეს საფუძველსა და მეთოდოლოგიურ ბაზას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია წარმოადგენდა, რაც უმძიმეს დაღს ასვამდა მის ნაშრომებს.

სამწუხაროდ, ამ ნაშრომებში სწავლებასა და აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი დღეისათვის არსებითად მიუღებელი თვალთახედვითაა გააზრებული. მაგალითად, ცალკე წიგნად გამოცემულ ნაშრომში – „ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში“ (პირველად გამოიცა 1940 წელს, მეორედ – 1954 წელს) გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა ბრძოლას „ნაციონალისტური გადანაშთების წინააღმდეგ“ და ამ ბრძოლას „ინტერნაციონალური აღზრდის აუცილებელ პირობად“ მიიჩნევდა (თავზიშვილი 1954: 13). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათა განსამტკიცებლად მკვლევარს მხოლოდ ლენინისა და სტალინის ნაშრომებიდან დამოწმებული ფრაგმენტები მოჰქონდა, რითაც ნაშრომი კიდევ უფრო მეტად ექცეოდა იდეოლოგიური მარწუხების ტყვეობაში და რამდენიმე ისტორიული შეცდომის დაშვების საფუძვლიც ხდებოდა. მხედველობაში გვაქვს ავტორისეული ხაზგასმა იმისა, თითქოს მე-19 საუკუნის საქართველოში „ანტიარმენიზმი“ არსებობდა, რაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მოსაზრებას წარმოადგენს (იქვე: 16).

აღნიშნულ გარემოებასთან ერთად აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გ. თავზიშვილის ხსენებულ ნაშრომებში დღესაც მისაღები მოსაზრებებიცაა გამოთქმული. მაგალითად, აი, როგორ გამოხატავდა მკვლევარი კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მიმართულ თავის თვალსაზრისს: „კოსმოპოლიტიზმი... მიმართულია ხალხთა ეროვნული ღირსების, ეროვნული კულტურის დაუფასებლობისა და მიჩქმალვისაკენ. გადაგვარებული კოსმოპოლიტები ქადაგებენ ეროვნულ ნიჰილიზმსა და უთვისტომობას, ებრძვიან პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, ცდილობენ დაუკარგონ ადამიანს სიყვარული თავისი ერისა და სამშობლოსადმი, დაუკარგონ პატივისცემა თავის ეროვნული კულტურისა,

ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნული მოღვაწეებისადმი... ინტერ-ნაციონალური აღზრდის ამოცანები მოითხოვენ შეუპოვარ ბრძოლას ნაციონალური კულტურის ყოველგვარი დამახინჯებისა და გაყალბების წინააღმდეგ, ბრძოლას კოსმოპოლიტიზმის ყოველი სახის გამოვლინების წინააღმდეგ“ (თავზიშვილი 1954: 28).

განსახილველი ნაშრომის ღირსებებზე საუბრის დროს განსა-კუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ გ. თავზიშვილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი არარუსი ერების ეროვნული და ენობრივი ინტერესების აქტიურად დამცველის როლშიც მოგვევლინა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინტერნაციონალური აღზრდის პოზიტიურ როლზე საუბარი ისე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გაგებული, თითქოს ამით პატარა ერების ეროვნული და ენობრივი ინტერესები ილახებოდა: „სხვადასხვა ერებს უეჭველად აქვთ ერთიანი და არსებითად ერთგვარი კულტურა, მაგრამ ამ ერების ისტორიული განვითარების პროცესი, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების დონე, სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოცვა, სხვადასხვა ენა, აღზრდის თავისებური მეთოდები, ტრადიციები, ჩვეულებანი და სხვა პირობები ქმნიან ამათუიმ ერის სპეციფიკურ თვისებებს, რომლითაც ეს ერები სათანადოდ განირჩევიან ერთიმეორისაგან. ეს პირობები სხვადასხვა ერის მოძრაობისა ქმნის ამ ერის ერთიანი კულტურის სპეციფიკურ, **ნაციონალურ ფორმას** (ხაზგასმა ავტორისაა – თ. კ.).

ეს ფორმა, პირველ ყოვლისა, ერის მშობლიური ენისა და მისი ყოფა-ცხოვრების შესატყვისია. ამიტომ ინტერნაციონალური კულტურის დაუფლება სხვადასხვა ერების მიერ მათ საკუთარ ენაზე და მათი ყოფა-ცხოვრების შესაფერის გარემოებაში უნდა ხდებოდეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სპეციფიკური თავისებურებებით შეაქვს ყველა ერს თავისი წვლილი საერთაშორისო, მსოფლიო კულტურაში“ (თავზიშვილი 1954: 30).

დღესდღეობით უკამათოდ მისაღები ამ მოსაზრების შეფასების დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არარუსი ხალხების ეროვნული და ენობრივი ინტერესების ესოდენ აქტიურად დამცველის როლში გ. თავზიშვილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ რუსიფიკატორული პოლიტიკის ტოტალურად გატარების პერიოდში გამოდიოდა.

როგორც ითქვა, მკვლევრის თეორიულ ნაშრომებში აღზრდისა და სწავლა-სწავლების მეთოდებსა და მიზანდასახულობასთან დაკავშირებით გამოთქმული არაერთი მოსაზრება კომუნისტური სახელმწიფოს ბელადების იდეოლოგიითაა დაღდასმული. ამის ერთ-ერთ ნეგატიურ გამოვლინებას წარმოადგენს ლენინისა და სტალინის ფსევდომეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოთქმული შეხედულება ერების ერთმანეთთან შერწყმისა და მსოფლიოში ერთი ხელოვნური ენის შექმნასთან დაკავშირებით. ამ უტოპიური შეხედულების მქადაგებელ პროლეტარიატის ბელადთა მტკიცებით, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში ერები და ენები ერთმანეთს შეერწყმებოდნენ, რის შედეგადაც მსოფლიოში მცხოვრები ხალხები ერთ ერად ჩამოყალიბდებოდნენ და ერთი ენით იმეტყველებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ, ბევრი საბჭოთა მეცნიერის მსგავსად, გ. თავზიშვილიც იძულებული იყო ამ უტოპიური „თეორიის“ დამცველთა რიგებში ჩამდგარიყო, იგი მაინც ახერხებდა ეროვნულ ინდივიდუალობათა აქტიურად დამცველის როლში გამოსვლას და მოზარდი თაობების აღზრდისა და სწავლების განმსაზღვრელ უმთავრეს საფუძვლად მათი პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებას მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი მსჯელობა აღზრდის პროცესში პატრიოტული და ინტერნაციონალური პრინციპების ერთმანეთთან ბუნებრივად შერწმასთან დაკავშირებით. გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგად რეკომენდაციებს გვთავაზობდა ამ მიზნის მისაღწევ გზათა შესახებ, არამედ კონკრეტულ რჩევებსაც იძლეოდა. მისი მტკიცებით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად სკოლაში სწავლის პერიოდში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ისეთი საგნების სწავლებას, როგორიცაა: ისტორია, მშობლიური ენა და ლიტერატურა და გეოგრაფია.

პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში გ. თავზიშვილი ასევე დიდ როლს აკისრებდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესის სწორად წარმართვას. იგი არა მარტო ასეთ ზოგად შეფასებას აძლევდა ამ კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს, არამედ კონკრეტულადაც ახასიათებდა ამ მიმართულებით გამოსაყენებელ ისეთ მასობრივ ღონისძიებებს, როგორიცაა: კლასგარეშე კითხვა, ექსკურსიები და ლაშქრობები, კოლექტიური დასწრებები სპექტაკლებსა და კონოფილმებზე და მათი განხილვები, წერილობითი კონტაქტების დამყარება სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან, სხვადასხვა თარიღებისა და ცნობილი პიროვნებებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება, ერთობლივი სპორტული შეჯიბრებების გამართვა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილი ამ და მსგავს ღონისძიებათა პერმანენტულად მიმდინარეობას მოზარდი თაობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მიიჩნევდა, მისი მტკიცებით, უმთავრეს მიზანს ბავშვის პატრიოტული თვითშეგნების განმტკიცება უნდა წარმოადგენდეს, „პირველ ყოვლისა, საკუთარი სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესწავლა“ (თავზიშვილი 1939: 29). აქედან გამომდინარე, „სამშობლო ენისა და ლიტერატურის სწავლების დროს სკოლამ და პედაგოგმა მოწაფეს უნდა შეუქმნან სამშობლო ენის და ლიტერატურის აუცილებლად ცოდნის რწმენა. ამისთვის საჭიროა მოწაფემ იცოდეს, რა კულტურაა შექმნილი ამ ენაზე, რა უპირატესობა აქვს მას მეცნიერული ცოდნის დაუფლების საქმეში“ (იქვე: 24).

„სამშობლო ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან“ ერთად, სრულფასოვან მოქალაქედ ბავშვის აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში გ. თავზიშვილი ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ისტორიასაც და გეოგრაფიასაც. მას არაერთი არგუმენტი მოჰყავდა იმის დასტურად, რომ ამ საგნების სწავლების შედეგად ბავშვს კიდევ უფრო მეტად განუმტკიცდებოდა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულის-კვეთება. მაგალითად, მისი მტკიცებით, „ისტორიის სწავლება მეტისმეტად

ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს ინტერნაციონალური აღზრდისათვის. მსოფლიო ისტორია... ინტერნაციონალური ხასიათის მრავალ ფაქტსა და მოვლენას შეიცავენ...

იმ ისტორიულ პირთა მოღვაწეობისა და ისტორიულ მოვლენათა დახასიათება, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით პროგრესულ როლს ასრულებდნენ და თავისი მნიშვნელობით სცილდებოდნენ ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებს, ყოველთვის **ინტერნაციონალური** (ხაზგასმა ავტორისაა – თ. კ.) აღზრდის თვალ-საზრისით უნდა ხდებოდეს... მრავალი დიდი მეცნიერი საამაყოა არა მარტო მისი წარმომშობი ერისათვის, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობისათვის. მათი მოღვაწეობა სცილდება ნაციონალურ ფარგლებს და საერთაშორისო კულტურის საგანძურს ამდიდრებს“ (თავზიშვილი 1980: 139).

როგორც ითქვა, პატრიოტული სულისკვეთებით ბავშვის აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად გ. თავზიშვილს მშობლიური ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი სწავლება მიაჩნდა. თუმცა უალტერნატივო დებულებად გამოთქმული ამ მოსაზრების მიუხედავად, იგი იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ სწავლების აღნიშნული პროცესი განუყოფლად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მოსწავლის ცნობიერებაში სხვა ხალხთა ენებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის სურვილის გაღვივებასთანაც. მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „მასწავლებელმა უნდა გაუღვივოს მოსწავლეებს სიყვარული და პატივისცემა მოწინავე ენებისადმი. მასწავლებელმა უნდა შეუქმნას მოსწავლეებს განუხრელი მისწრაფება უცხო ენების შესწავლისადმი და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ მისწრაფების რეალური განხორციელების საქმეში. უცხო ენების მასწავლებლებმა უნდა შთაუნერგონ მოსწავლეებს ის ჭეშმარიტება, რომ მოწინავე უცხო ენების ცოდნა თუ ერთადერთი არა – უმთავრესი საშუალებაა ამ ენებზე არსებული დიდი კულტურის ყოველმხრივ შესასწავლად“ (თავზიშვილი 1980: 144).

ამ და მსგავსი მოსაზრებებისთის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად გ. თავზიშვილი შესაბამის გამონათქვამებსაც უხვად იმოწმებდა ცნობილ მოღვაწეთა, პირველ ყოვლისა კი დიდ ქართველ მამულიშვილთა ნააზრევიდან.

მოსწალეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთების ფორმირების პროცესში გ. თავზიშვილი ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გეოგრაფიის სწავლებასაც. მისი აზრით, ამ თვალსაზრისით საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნის ისეთი საკითხების სწავლებაზე ყურადღების მიპყრობა, როგორიცაა: გეოგრაფიული აღმოჩენები, რომელთაც ჰქონდათ მსოფლიო-ისტორიული ხასიათის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა; გეოგრაფიული მეცნიერების დიდ წარმომადგენელთა და მკვლევარ-აღმომჩენთა ბიოგრაფიები და ა. შ. გ. თავზიშვილის აზრით, სკოლაში გეოგრაფიის სწავლების დროს ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს „გარკვეული ურთიერთობის დამყარებას სხვადასხვა ერებს და სახელმწიფოებს შორის“ (თავზიშვილი 1980: 150).

დღესაც უაღრესად მნიშვნელოვან ამ და მსგავს დებულებებს გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგადად გამოთქვამდა, არამედ მათი განხორციელების გზებსაც გვთავაზობდა შესაბამისი რეალობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში გამოთქმული ამ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მკვლევრის მიერ დაფიქსირებული ბევრი მოსაზრება თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესების რადიკალური შეცვლისა და ევროინტეგრაციის პროცესში ჩვენი ქვეყნის აქტიურად ჩართვის გამო არსებითად შეცვლილ რეალობას ქმნის, ხსენებული მოსაზრებანი კვლავაც რჩება აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფასეულ თეორიულ ბაზად.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით გიორგი თავზიშვილის მიერ გამოთქმულ პოზიტიურ მოსაზრებათა შეფასების დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ამ მოსაზრებებს მკვლევარი იმ დროს გამოთქვამდა, როცა მაშინდელი ხელისუფლება აქტიურად ატარებდა ინტერნაციონალიზმის სახელით შენიღბულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

თავზიშვილი 1939: თავზიშვილი გ., საბჭოთა პატრიოტიზმი და პატრიოტული აღზრდა. თბილისი, 1939.

თავზიშვილი 1954: თავზიშვილი გ., ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში. თბილისი, პირველი გამოცემა – 1940, მეორე – 1954.

თავზიშვილი 1980: თავზიშვილი გ., რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი, სამ ტომად. ი. ბოცვაძის რედაქციით. ტ. III, თბილისი, 1980.